თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 01-13-10270-22
21 / 02 / 2022

შპს „დიონისე 2018“-ის დირექტორს
ქალბატონ ია ხურციძეს

ქალბატონო ია,

თქვენი მიმდინარე წლის 8 თებერვლის №01-13-10270-22 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო, №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.15.03.004.021) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით კომპანიის პოზიციას გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკადასტრო ერთეულის სიახლოვეს განთავსებულია შპს „თბილისი ენერჯის“ მოქმედი მიწისქვეშა D=32 მმ-იანი პოლიეთილენის საშუალო წნევის გაზსადენი.

მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, გაზსადენთან მიმართებაში საჭიროა დაიცვათ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები კერძოდ, მშენებლობის შედეგად არ უნდა შეიზღუდოს მილსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი, საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა და სამუშაოების წარმოებისას არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება. მანძილი მიწისქვეშა მილსადენის ღერძიდან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე უნდა განისაზღვროს არანაკლებ 4 (ოთხი) მეტრით.

გიგზავნით აღნიშნულ ტერიტორიაზე მილსადენის განლაგების სქემატურ ნახაზს.

დანართი: სქემატური ნახაზი 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1:200
ჩ
დ
ა
ს
01.15.03.004.021
მანძილი 0.85 მ.
D= 32PE
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯის" მფლობელობაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი ს/კ 01.15.03.004.021
თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY

შპს  ტყე და მეტყევე

ს/კ 400252597 მის. თბილისი, გლდანის VIII მ/რ, კორპ. 27, ბინა 100, ელ. ფოსტა: a.aptsiauri13@gmail.com

ტ. 577 119 750

№34 14 იანვარი 2019 წ.

დ ა ს კ ვ ნ ა

მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობისა და ხარისხობრივი შეფასების შესახებ

ა/წლის 5 იანვარს ქ. თბილისი, ქუჩა სანაპიროს,№10 მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.15.03.004.021) არსებულ ტერიტორიაზე დამკვეთის შპს „დიონისე 2018“ მომართვის საფუძველზე მეტყევე-მეცნიერის მიერ (ექსპერტი სატყეო სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით) შემოწმდა მწვანე ნარგავების ფიზიკური მდგომარეობა. ვიზუალურად დათვალიერებული და სატყეო ტაქსაციაში მიღებული მეთოდების მიხედვით აღწერილი და შეფასებული იქნა იქ განლაგებული ხე-მცენარეები.

ხის დიამეტრი დადგინდა საზომი ბაფთით მიწის პირიდან 10 სმ სიმაღლეზე გაზომვით და „პი“-ზე გაყოფით.

ტერიტორიაზე განლაგებულია სულ 18 ძირი 4 სახეობის მწვანე ნარგავი, ამათგან ხილ-კენკროვანია 1 ძირი. ტერიტორიაზეა 6 ძირი ძლიერ ეკლიანი გლედიჩიის ხე-მცენარე. დამკვეთს სურვილი აქვს მოჭრას ხილ-კენკროვანი - №1 - ასკილი და №5, 6, 9 და 11 – 13 - გლედიჩიები, ხოლო გადარგოს №14 - თუთა, № - 1,2, 17 და 18 - აკაცია, №3, 4 7, 8 და 10 - კვიპაროზები.

პირველ ეტაპზე ჯერ უნდა ამოთხრილი იქნას ორმო, რომელშიც უნდა ჩაირგას გადასარგავი ხე-მცენარეები. ორმოების სიმაღლე და სიგანე უნდა იყოს იმ ზომის, რომ ხე-მცენარეები ძალიან თავისუფლად ეტეოდეს ორმოში. ასაშენებელი შენობის საძირკველის გათხრის პროცესში ექსკავატორის საშუალებით მოითხრება მიწა გადასარგავი ხე-მცენარის გარშემო იმ პირობით, რომ მისი ფესვთა სისტემა და განსაკუთრებით მთავარი ფესვი არ დაზიანდეს. ეს კი მიღწევადია, როცა ხის გარშემო მიწა მოითხრება ხის ფესვის ყელიდან 60 – 80 სმ–ის რადიუსით (დამოკიდებულია ხის დიამეტრის სიმსხოზე) წრიულად გარშემო. ექსაკავატორის ე.წ. „კოვშის“ საშუალებით აწეული უნდა იქნას მაღლა, რომ ძირითადი ფესვი (და დამატებითი ფესვებიც) წაეჭრას. ასევე მოხდეს ამ ფესვებისა და მიწის, რომელიც ფესვებს გაყვება შეიკრას ერთმანეთზე გადაკერებული (წინასწარ ტომარას დაარღვევენ და ერთმანეთს

გადააკერებენ) ტომრებით, ხოლო ტომრებს შეკრავენ თოკით. ხის ქვედა ტოტებს შეკვეცენ (დაამოკლებენ) იმ ზომამდე, რა ზომისაც არის ხის ფესვებზე თან გაყოლილი მიწის სიგანე ფესვის ყელის ზომაზე. ვინაიდან ხე გადასარგავია იქვე ტერიტორიაზე (დაახლოებით 5 – 8 მეტრის მანძილზე), ხეს ძირიდან ასწევენ ექსკავატორის ე.წ. „კოვშის“ საშუალებით, ხოლო იმისათვის, რომ ხემ წონასწორობა შეინარჩუნოს (ეს აუცილებელი პირობაა) გადატანის დროს, საჭიროა ხის ვარჯის ძირში შემოეკრას რეზინის ფურცლები (ხის მერქანი, რომ არ დაზიანდეს) და ამწეს (გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხის წონა მიწიანად შესაძლებელია იყოს 1,0 – 2,5 ტონა, ამიტომ ამწეს ტვირთამწეობა უნდა იყოს არა ნაკლები 5 ტონა) ჯალამბარის გამოყენებით ვერტიკალურ მდგომარეობაში აიწიოს და გადატანილ იქნას სპეციალურად მომზადებულ ორმოში, სადაც ხის ჩარგვამდე უნდა ჩაიყაროს ერთი – ორი ტომარა ხორბალი, ჩაისხას ზრდის სტიმულატორი „რაანი“ 1 – 2 ლიტრი, ჩაისხას 20 – 30 ლიტრი წყალი (მიწა რომ გაიჟიჟოს) და ტომრებიანად ჩაისვას ორმოში ვერტიკალურ მდგომარეობაში. მიწის ჩაყრის დროს პერიოდულად მიწა უნდა დაიტკეპნოს (მუდმივად ამ პროცესის მიმდინარეობისას ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ხემ ვერტიკალური მდგომარეობა შეინარჩუნოს). გადარგვის შემდეგ აუცილებელია შეირჩეს პასუხისმგებელი პირი, რომელიც ივალდებულებს, რომ ხე–მცენარე რეგულარულად მორწყას. პირველი ერთი კვირის მანძილზე დღეში ორჯერ – დილას და საღამოს 20 ლიტრის ოდენობის წყლის დასხმით სპეციალურად მოწყობილ ჯამში (მიწის შემაღლებული ფენა, რომელიც ხე–მცენარის ფესვის ყელის გარშემო იქნება შემოვლებული – წვიმიან ამინდშიც კი). მომდევნო ერთი კვირის მანძილზე კიდევ 10 ლიტრის ოდენობის წყლის დასხმით დილაობით. ვაზები ჯერ გაისხლება ანუ მათი ღერო დამოკლდება 1 მეტრამდე და 30 სმ-ის რადიუსით ფესვის ყელის გარშემო მოითხრება, რომ ნარგავს 0,5 – 0,6 სიგრძის ფესვი გაყვეს მიწიანად. მოთხრილი ნარგავები დროებით ჩაიფლობა მიწაში (მშენებლობის დროს რომ არ დაზიანდეს და შემდგომ გამოყენებული იქნება ტერიტორიის გასამწვანებლად.

ცხრილში მოცემულია ქ. თბილისი, ქუჩა სანაპიროს,№10 მისამართის (საკადასტრო კოდი: 01.15.03.004.021) ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების სახეობები, მათი ფიზიკური მდგომარეობა და დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე:

№ რიგზე	მერქნიანი სახეობა	D_{10} დიამეტრი 10 სმ-ზე	შენიშვნა
1	აკაცია	30,6	ჯანსაღი
2	-‘-	42,8	-‘-
3	კვიპაროზი	40,4	-‘-
4	-‘-	27,5	-‘-
5	გლედიჩია	47,55	-‘-

6	-‘-	51,7	-‘-
7	კვიპაროზი	28,2	-‘-
8	-‘-	42,8	-‘-
9	გლედიჩია	45,6	-‘-
10	კვიპაროზი	38,6	-‘-
11	გლედიჩია	56,7	-‘-
12	-‘-	42,7	-‘-
13	-‘-	38,7	-‘-
14	თუთა	4,3	-‘-
15	ასკილი	0,5 – 1,8	ხილ-კენკროვანი, ჯანსაღი
16	აკაცია	33,6	ჯანსაღი
17	-‘-	41,9	-‘-
18	-‘-	56,7	-‘-

დირექტორი ნანა აფციაური

ალექსანდრე აფციაური

პროფესორი, სატყეო საქმის მეტყევე–მეცნიერი
ლიცენზირებული და სერთიფიცირებული ექსპერტი



არსებული
მწვანე ნარგავების გენ-გეგმა
მ 1:400

ქ. თბილისი, სანაპიროს
ქუჩა, №10(№01.15.03.004.021),
მიწის ნაკვეთის ფართი 930.00 მ²
არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)

კ3=0.8

საპროექტო

ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების
ჩამონათვალი იხილეთ
შპს "ტყე-მეტყევეს" დასკვნა №34-ში,
14 იანვარი 2019 წელი

პირობითი ნიშნები:

- ჯანსაღი
- ზეხმელი
- ხმობადი
- საპროექტო ნაკვეთის საზღვარი
- ნაკვეთების საზღვრები
- 000 / 000 WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქს	საცხ. შენობა	ხის ღობე	წ — წყალგაყვანილობა
ქა	არასაცხ. შენობა	ღობე	გ — გაზი
	ფარდული	ქვის კედელი	კ — კანალიზაცია
	მშენებარე შენობა	კედელი	სან — სანიაღვრე
	სატრანსფორ. ჯიხური	ფლატე	კგ — კავშირგაბმულობა
		რკინიგზა	ელ. ქსელები
		თგ — გათბობა	

გარე განათება; სამეთვალყურეო ჭები; პალმა; ვაზი; ფოთლოვანი ხე; წიწვოვანი ხე; ბუჩქი; ბალახი; ძირკვი

შ.პ.ს. „ტყე და მეტყევე"		ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა, №10(№01.15.03.004.021)					
დამკვეთი	შპს „დიონისე 2018"	დენდროკვლევა	2019				
დირექტორი	ნ. აფციაური	**საპროექტო** მწვანე ნარგავების გენ-გეგმა	სტადია	ფურცელი	ფურცელ. რაოდ.	მასშტაბი
შეასრულა	ზ. ადეიშვილი						
ექსპერტი	ა. აფციაური	საფუძველი-დასკვნა №34, 14.01.2019 წ.				1:400